

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 06

პროგრამის დასახელება:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2021-2024 წლები

პროგრამის მიზანი:

ქალაქ ბათუმში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ახალგაზრდობა მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. რაც ქმნის იმის საჭიროებას, რომ ადგილობრივ დონეზე, განხორციელდეს მათი მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო და ტექნოლოგიების განვითარება, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები.

„2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების თანახმად, „არაფორმალურ განათლებას პიროვნების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს და მას ფორმალური განათლება ვერ ჩაანაცვლებს. არაფორმალური განათლების პროცესში ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას არაერთი დადებითი შედეგი აქვს: უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება (ადამიანური კაპიტალი); პოზიტიური ურთიერთობების დამყარება (სოციალური კაპიტალი); ქცევის (მაგალითად, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ქცევის) შეცვლა (ჯანმრთელობის ხელშეწყობა) და პიროვნული ზრდა“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფო უფლება-მოვალეობების განხორციელება, ხელისუფლების იმ ორგანოების მიერ უფრო უკეთ სრულდება, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან მოქალაქეებთან. ადგილობრივი თვითმმართველობა კი, ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის ახალგაზრდებთან, ყველაზე დაახლოებული ორგანოა, რაც გვადამტკიცებს საშუალებას ვიზრუნოთ ადგილობრივი ახალგაზრდების არაფორმალურ განათლებაზე.

საქართველოში ახალგაზრდის ასაკად განსაზღვრულია 14-29 წელი. როგორც ცნობილია, სხვადასხვა ასაკში ახალგაზრდებს განსხვავებული საჭიროებები და ინტერესები გააჩნიათ, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა განხორციელდეს ასაკობრივი განვითარების თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

14-დან 18 წლამდე ასაკის განვითარების მახასიათებელია ინტერესის გამოვლენა იმ ცოდნის მიმართ, რაც ფორმალური განათლების ფარგლებს სცილდება, აქვთ შემოქმედებითობის მოთხოვნილება, ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი და თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. უყალიბდებათ თვითშეფასება, მსოფლმხედველობა, ლოგიკური აზროვნება და წარმოსახვის უნარი.

<p>18-დან 24 წლის ახალგაზრდების მთავარი საზრუნავი განათლების მიღებაა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე. აგრეთვე, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება. ეს ასაკობრივი პერიოდი ასევე დაკავშირებულია ასოციალური ქცევის, სოციალურ ურთიერთობებში პრობლემების, წარუმატებელი კარიერული არჩევანის, სიღარიბისა და სხვა რისკებთან.</p> <p>საზოგადოებაში ახალგაზრდების ინტეგრაცია დამოკიდებულია მასზე, თუ როგორ არის დაცული ახალგაზრდების საჭიროებები და ინტერესები სხვადასხვა სექტორებში, როგორცაა დასაქმება, განათლება, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვა. აღნიშნულის მიღწევისთვის, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პირველ რიგში, ახალგაზრდები გათვითცნობიერებულნი და ინფორმირებულნი იყვნენ თავიანთი უფლებების შესახებ და აღჭურვილნი იყვნენ იმ კომპეტენციებით, რაც დაეხმარება მათ დაიცვან თავიანთი უფლებები და მოითხოვონ უკეთესი პირობები განათლების, დასაქმების, ჯანდაცვისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და თავადაც, შეიტანონ წვლილი მდგომარეობის გაუმჯობესებაში. რისი მიღწევისთვისაც მათ ესაჭიროებათ მხარდაჭერა და არაფორმალურ განათლებასთან ხელმისაწვდომობა.</p> <p>25 წელს ზემოთ ახალგაზრდების ძირითადი მიზანია, რომ იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი წევრები, მოახდინონ შრომის ბაზარზე მათი მდგომარეობის სტაბილიზაცია და დაიწყონ ოჯახური ცხოვრება. სწორედ ზემოაღნიშნული მოცემულობების გათვალისწინებით, 2018-2021 წლების „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში“, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ახალგაზრდების განვითარება მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს.</p>
<p>როდესაც ახალგაზრდებს აქვთ განცდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მათი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს, მათი სოციალური პასუხისმგებლობა, მოქალაქეობრივი თვითშეგნება, პიროვნული განვითარების დონე, თუ ყოფითი ცხოვრება თანდათანობით უმჯობესდება და იცვლება უკეთესობისკენ.</p> <p>2020 წლის მონაცემებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში 14 - 29 წლის ასაკის 38 000 ახალგაზრდაა რეგისტრირებული. მათ განვითარებაზე ზრუნვა კი პირდაპირ აისახება ქალაქის მომავალ კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას. აღნიშნული უფლებამოსილებისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2019 წლის 31 იანვარს N10 განკარგულებით დაამტკიცა „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი 2019 - 2021“. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის სამ წლიან გეგმას, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლის მიზანია ბათუმში მცხოვრები 14 - 29 წლის ასაკის ახალგაზრდების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.</p>
<p>საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, თანახმად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას.</p> <p>კონცეფციით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად კონცეფცია განსაზღვრავს 5 სტრატეგიულ პრიორიტეტს და 22 მოსალოდნელ შედეგს, რომელთა შესრულებისთვის პასუხისმგებელი არიან საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობისთვის, 2021-2024 წლებში განხორციელდება არაფორმალური განათლების უზრუნველყოფის ხელშეწყობის ღონისძიებები, მხარდაჭერილი იქნება ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტების ჩატარება და დაფინანსდება ახალგაზრდების ინიციატივები და იდეები. გარდა აღნიშნულისა, ახალგაზრდებსა და მოზარდებს ექნებათ შესაძლებლობა შეიკრიბონ უსაფრთხო სივრცეში კერძოდ, ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ განხორციელებისთვის გამოყოფილ ფართში, იმჯელონ აქტუალურ და მათთვის საინტერესო თემებზე. გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, კულტურული მისწრაფებები და გაუზიარონ თანატოლებს თავიანთი ინტერესები.</p> <p>უკვე არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში დამატებით მოეწყობა გასართობი სივრცე. რაც ახალგაზრდების ჩართულობასა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამებით დაინტერესებას გაზრდის, ამავედროულად ხელს შეუწყობს ახალგაზრდების თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას, საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდების დაახლოებასა და ერთობლივად ინიციატივებისა და იდეების განხილვას, პროექტების შექმნასა და განხორციელებას.</p> <p>ქალაქის ცენტრისგან დაშორებულ უბნებში არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის გზარდისთვის, მოეწყობა ახალგაზრდული სივრცეები, რაც საშუალებას მისცემს ქალაქიდან მოშორებით მცხოვრებ მოზარდებსა და ახალგაზრდებს ადგილზე მიიღონ ის სერვისები, რასაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ახალგაზრდების განვითარების მხარდაჭერის, კერძოდ კი არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში ახორციელებს.</p>

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
ახალგაზრდული ცენტრი	837 900	236 900	183 000	198 000	220 000
ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	213 840	17 960	55 960	68 960	70 960
ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	144 000	0	45 000	48 000	51 000
ახალგაზრდული სივრცეების მოწყობა	160 000	0	80 000	40 000	40 000
სულ პროგრამა	1 355 740	254 860	363 960	354 960	381 960

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ხელშეწყობილია ახალგაზრდების განვითარება

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2020 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				
ახალგაზრდების განვითარებისათვის ორგანიზებულ ღონისძიებებში ახალგაზრდების სწრებადობის რაოდენობა	1500	2000	4000	6000	7000	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი	
ახალგაზრდების მიერ განსახილველად წარმოდგენილი საინიციატივო პროექტების რაოდენობა (არანაკლებ)	10	10	30	35	40	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი	
ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი დაფინანსებული ინიციატივების რაოდენობა	2	5	15	16	17	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი	
საინიციატივო პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა (არანაკლებ)	250	400	550	600	900	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი	

ხელშეწყობილია ახალგაზრდების განვითარება	მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში გამარჯვებულ პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	0	300	0	0	0	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ქალაქის გარეუბნებში მოწყობილია და ფუნქციონირებს ახალგაზრდული სივრცეები	0	0	2	4	4	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ახალგაზრდულ ცენტრში მოწყობილია გასართობი სივრცე	0	0	1	0	0	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ინტელექტუალურ - შემეცნებით პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა (არანაკლებ)	1000	700	1100	1300	1400	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

	<p>ჩატარებული ღონისძიებების მოსარგებლეთა 50% - ზე მეტი მიიჩნევს, რომ ღონისძიებებში მონაწილეობით მიღებულმა სარგებელმა უკეთესობისკენ შეცვალა მათი დამოკიდებულებები, ცოდნა და უნარები, რაც დადებით ზეგავლენას იქონიებს მათ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაზე</p>	0,6	0,65	0,7	75	%	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>მონიტორინგი</p>
--	--	-----	------	-----	----	---	--	---	--------------------

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 06 01

ქვეპროგრამის დასახელება:

ახალგაზრდული ცენტრი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	236 900
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	236 900

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდობის განვითარებაზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული არაფორმალური განათლების სივრცის უზრუნველყოფა და ახალგაზრდობის იდეების განხორციელების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მოზარდებისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობისთვის საუკეთესო საშუალებაა ახალგაზრდული, უსაფრთხო და კომფორტული სივრცის ფუნქციონირება, სადაც რეგულარულად მიმდინარეობს არაფორმალური საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლებისა და ოჯახური კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდობის განვითარებას, საზოგადოებაში აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას, სხვადასხვა კომპეტენციისა და თანამედროვე გამოწვევებთან სავსაუხოდ უნარჩვევების დაუფლებას. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ქ. ბათუმში მცხოვრებ ახალგაზრდებს ჰქონდეთ განვითარების ალტერნატიული სივრცე, ამ მიზნით შეიქმნა ქვეპროგრამა „ახალგაზრდული ცენტრი“, რომელიც ემსახურება ქალაქში ახალგაზრდობის განვითარებისთვის არაფორმალური, ალტერნატიული სივრცის არსებობას, რაც ხელს უწყობს მოზარდებისა და ახალგაზრდობის თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას და საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდობის ერთ სივრცეში შეკრებას, გაცნობა-დაახლოებასა და კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებში ჩართულობის ხელშეწყობას. გარდა ამისა, თემის განვითარებაში ახალგაზრდობის წვლილის გაზრდის მიზნით, მხარდაჭერილი იქნება ახალგაზრდობის იდეები. ასევე, განხორციელდება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში 2020 წელს გამარჯვებულად გამოვლენილი პროექტები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

1. ცენტრის მოვლა-პატრონობა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა -
აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართის სანიტარიულ-ჰიგიენური მოვლა-პატრონობა; ყოველთვიურად წარმოშობილი კომუნალური ხარჯის დაფარვა; ინტერნეტ მომსახურებით უზრუნველყოფა, ლიფტის მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა; ელექტრომექანიკოსისა და სანტექნიკოსის მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა თანმდევი მომსახურებები.

2. არაფორმალური განათლების ხელშეწყობა -

დღეისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, ოჯახი და მოზარდებისა და ახალგაზრდების ირგვლივ არსებული გარემო, სრულყოფილად ვერ იძლევა ისეთი სახის უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ახალგაზრდებში, რაც საჭიროა სიცოცხლის მანძილზე არსებული გამოწვევებისთვის, თვითდამკვიდრების, სოციალურ ინტეგრირებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემას არ შეუძლია ადამიანის სრულყოფილი მომზადება, მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიდგომებით სახელმწიფო ზრუნავდეს ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობაზე, ერთ-ერთი მიდგომა, ასეთ შემთხვევაში სწორედ არაფორმალური განათლების პროგრამების დანერგვის მექანიზმია. „ახალგაზრდა თაობისათვის რეალური, ფიზიკურად არსებული შეხვედრების სივრცეების მოწყობა და არაფორმალური განათლების შესაძლებლობების შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმისათვის, რომ საქართველოს მიეცეს შესაძლებლობა გზა გაიკვლიოს უკეთესი მომავლისაკენ“ ვკითხულობთ „ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეზე: იმერეთი და თბილისი“ საქართველოში ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით ჩატარებულ 2020 წლის კვლევაში.

არაფორმალურ განათლებას პიროვნების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს და მას ფორმალური განათლება ვერ ჩაანაცვლებს. არაფორმალური განათლების პროცესში ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას არაერთი დადებითი შედეგი აქვს: უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება (ადამიანური კაპიტალი); პოზიტიური ურთიერთობების დამყარება (სოციალური კაპიტალი); ქცევის (მაგალითად, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ქცევის) შეცვლა (ჯანმრთელობის ხელშეწყობა) და პიროვნული ზრდა. არაფორმალური განათლების ღონისძიება მიზნად ისახავს ბათუმში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდების პიროვნულ განვითარებას, ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას სხვადასხვა მიმართულებითა და სწორი დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობას. შესაბამისად, 2021 წელს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს არაფორმალური განათლების პროგრამების მიწოდებას ადგილობრივი მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება შემდეგი ღონისძიებები:

ფსიქოლოგის საათი - მოზარდობა იგივე, გარდამავალი ასაკი, განსაკუთრებულად რთული და პრობლემურია, მით უფრო, არასრულწლოვანთა შორის გახშირებული ძალადობის ფაქტების ფონზე. „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების თანახმად, „კონცეფციის შემუშავების პროცესში გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებზე ახალგაზრდები ხშირად საუბრობდნენ ოჯახისგან შეზღუდვაზე, მშობლების უნდობლობაზე, გადაჭარბებულ კონტროლსა და ქცევის შესახებ მითითებაზე. ახალგაზრდებმა პრობლემად მიიჩნიეს აგრეთვე უიმედობისა და დეპრესიის განცდა და სუიციდის სურვილი. მათ ისიც აღნიშნეს, რომ გარემოსთან ადაპტაციისა და ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავების უნარ-ჩვევები არ აქვთ.“ სამწუხაროდ, დღესდღეობით არ არსებობს საკმარისი ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ფორმალური თუ არაფორმალური სერვისები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ახალგაზრდებისთვის. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ღონისძიების „ფსიქოლოგის საათის“ განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის ჩატარდება საინფორმაციო ტრენინგები პიროვნული განვითარების, პრობლემების დაძლევის, კონფლიქტების, კომუნიკაციის, ემოციების მართვისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. რისთვისაც, ბათუმის ახალგაზრდული ცენტრის ქვეპროგრამისათვის გამოყოფილ სივრცეში ახალგაზრდებისთვის ჩატარდება შეხვედრები კომპეტენტურ და პრაქტიკოს ფსიქოლოგებთან.

კლუბები - სხვადასხვა მიმართულების კლუბების მუშაობა ყველაზე ეფექტურია მეთოდია არაფორმალური განათლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. იგი ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და მოზარდების ჩართულობას ინტერესების შესაბამისად, მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალიზებას. კლუბები იძლევა საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდების შეკრებისა და გაერთიანების საშუალებას, კლუბის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები სფეროების მიხედვით არის ორგანიზებული და შედეგზე ორიენტირებული. კლუბების მუშაობა მიმართულია ჰობი განათლების საბაზისო დონეზე ხელშეწყობისთვის, ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციის დაუფლების, ღირებულებათა სისტემის ფორმირებისა და მსოფლმხედველობის განვითარებისთვის, შესაბამისად, ახალგაზრდული ცენტრის ქვეპროგრამის ფარგლებში იფუნქციონირებს ლიტერატურისა და კინოკლუბები.

ლიტერატურის კლუბი - ლიტერატურის კლუბში ჩატარდება წიგნების განხილვები, მოწვეული სპეციალისტები ახალგაზრდებთან ერთად განიხილავენ შერჩეულ წიგნებს; გამოცხადდება მკითხველთა რეგისტრაცია. შერჩეული იქნება 10 წიგნი, რომელთა სია ახალგაზრდებს წინასწარ მიეწოდებათ, შედგება თითოეული მათგანის განხილვის გრაფიკი, რაც ასევე წინასწარ ეგნობებათ დაინტერესებულ ახალგაზრდებს. განხილვებს გაუძღვებიან კომპეტენტური სპეციალისტები. წაკითხული წიგნებიდან შედგენილ ტესტებში ჩატარდება შემაჯამებელი ლიტერატურული ვიქტორინა. გამარჯვებულები წახალისდებიან სხვადასხვა პრიზებით.

<p>კინოკლუბი - მოეწყობა კინოჩვენებები, მოწვეული კინომცოდნეები ახალგაზრდებთან ერთად განიხილავენ ფილმებს, ახალგაზრდებს, რომლებსაც სწრებადობის მაღალი მაჩვენებელი ექნებათ, წახალისდებიან კინოთეატრის კინოპრემიერების ბილეთებით.</p> <p>ტრენინგები - ჩატარდება ტრენინგები - ახალგაზრდებში სხვადასხვა საბაზისო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობისთვის.</p>
<p>3. ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა - როდესაც ვსაუბრობთ ახალგაზრდების ჩართულობასა და მონაწილეობაზე, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რომ აქტიურობა და სხვადასხვა ღონისძიებაში ხშირი ჩართულობა არ გულისხმობს რეალურ მონაწილეობას. ახალგაზრდების ჩართულობასა და მონაწილეობას გააჩნია თავისი დონეები, ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხის დასადგენად, საუკეთესო მოდელია როჯერ ჰარტის მონაწილეობის რვა საფეხურიანი კიბე. „მონაწილეობის კიბეზე“ პირველი სამი ეტაპი არის მანიპულირება, დეკორაცია და სიმბოლიზმი. მანიპულაციის დროს მოზარდები/ახალგაზრდები ასრულებენ დავალებას, მაგრამ არ ესმით, რას და რატომ აკეთებენ. როდესაც მოზარდები/ახალგაზრდები გაუცნობიერებლად მონაწილეობენ უფროსების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, მათ არ ესმით, რა ფუნქცია აკისრიათ და რა არის პრობლემა.</p>
<p>სიმბოლოზმის საფეხურზე მოზარდს/ახალგაზრდას ეკითხებიან აზრს, მაგრამ საკუთარი შეხედულებების გამოთქმა სიმბოლოზ ხასიათს ატარებს.</p> <p>მონაწილეობის კიბეზე ყველაზე სასურველი, მე-8 საფეხურია - „ბავშვის მიერ ინიცირებული და მართული“ პროექტები. საქართველოში ჩატარებული „ახალგაზრდული სფეროს კვლევის“ (საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი, 2011 წ.) მიხედვით, კითხვაზე: „როგორი ფორმით სურთ ახალგაზრდებს იყვნენ ჩართულები ახალგაზრდულ სფეროში და ზოგადად საზოგადოებრივ საქმიანობაში?“, „ახალგაზრდების ინიციატივა და მართვა ახალგაზრდების მიერ“ 26,8%-ით შეფასდა, როგორც ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ფორმა, როდესაც ახალგაზრდები იჩენენ ინიციატივას და თავიდან ბოლომდე დამოუკიდებლად მართავენ და ახორციელებენ პროექტებს.</p>
<p>აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მივიჩნით ახალგაზრდების იდეებისა და ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობის უზრუნველყოფა. რაც გაზრდის გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდების რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდებში დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლებას. გარდა ამისა, საკუთარი იდეების რეალიზებით ახალგაზრდებს არა მხოლოდ საზოგადოების განვითარებაში შეაქვთ წვლილი, არამედ პირად გამოცდილებას იმდიდრებენ და კომპეტენციებს იუმჯობესებენ. ქვეპროგრამის „ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის წესით შეირჩევა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი საინიციატივო პროექტები და დაფინანსდება.</p>
<p>4. „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ქუჩის ხელოვნების მოძრაობა ბაფიტი / street art movement BAFITIT“ განხორციელება - მსოფლიო ხელოვნებაში დიდი ადგილი უჭირავს ქუჩის ხელოვნებას, რაც საინტერესოს ხდის ქალაქების იერსახეს.</p> <p>სამწუხაროდ, ბათუმში მრავლადაა უსახური კედლები, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მნახველზე და დამაზიანებელია ქალაქის საიმჯო იერსახისათვის. გარდა ამისა, ბათუმი განვითარებულია დიდი შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა ხელოვანებით, რომლებიც უმეტესწილად საკუთარი ინიციატივითა და ფინანსებით ცდილობენ ქალაქის იერსახეზე იზრუნონ. ვერ ხდება შემოქმედთა პოტენციალის რეალიზება იმ პირობებში, როცა მათი ნიჭი და ახალგაზრდული ენერჯია სწორად შეიძლება იქნეს გამოყენებული საზოგადოებრივ საქმისთვის. მოძრაობა „ბაფიტის“ როლი კი პატარა საზღვაო ქალაქის ხელოვნების ცენტრად ქვევაში უნიკალური იქნება, რაც მიზნად ისახავს ქალაქის იერსახის გალამაზებას, ადგილობრივი ადამიანური (შემოქმედებითი, ინტელექტუალური და ფიზიკური) რესურსების გამოყენებას, ქუჩის მხატვრობის პოპულარიზაციას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, ახალგაზრდების მიერ ხელოვნების ამ სპეციფიკურ დარგის აღქმასა და მასში უშუალო მონაწილეობას, ვიზიტორებისთვის ერთგვარი აქცია-პერფორმანსის დემონსტრირებას. ქალაქში „ბაფიტი“ იქნება მოძრაობა, რომელიც რეგიონის მამტაბით ქუჩის მხატვრობის იდეას რეალობად აქცევს, პროექტის ფარგლებში მოიხატება ქალაქში არსებული უსახური კედლები და პროცესში უშუალოდ მოქალაქეები იქნებიან ჩართული.</p>

<p>5. „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასი“ განხორციელება - იდეა გულისხმობს თანმედროვე თეატრალური და კინო ხელოვნების გაცნობას ახალგაზრდებისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი 30-მდე ახალგაზრდას მასტერკლასებისა და სასწავლო ვიზიტების საშუალებით გააცნობს თეატრალურ კულტურას, ახალგაზრდები უშუალოდ თეატრის ბაზაზე გაეცნობიან სადადგმო პროცესებს, თეატრის პერსონალთან ერთად ჩაერთვებიან პრაქტიკულ სამუშაოებში და პროფესიონალი რეჟისორის ხელმძღვანელობით შექმნიან სპექტაკლს. ყოველივე ეს, შემოქმედებით სივრცეებს გახდის უფრო მეტად მრავალფეროვანს. პროექტის მონაწილე ახალგაზრდები, თეორიულ ცოდნას/გამოცდილებას გაზიარებენ შეძლებენ თანამედროვე ცნობადი ხელოვნებისგან, რომლებიც მასტერკლასების ჩატარებასთან ერთად, ხელს შეუწყობენ მათი მოტივაციის ამაღლებას, შემოქმედებით პროცესში უშუალოდ ჩართვის კუთხით. ყოველივე ეს კი გამოიხატება პროექტის ფარგლებში დადგმულ სპექტაკლში მონაწილეობით.</p>
<p>პროექტის „ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასის“ ფარგლებში თეატრალურ კულტურასთან ერთად, პროექტის მოსარგებლები გაეცნობიან კინო ხელოვნებასაც, რომელიც არაფორმალური განათლების მეთოდით, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებას გულისხმობს. პროექტის მონაწილე ახალგაზრდები აღნიშნულ პროექტის ფარგლებში ითამაშებენ სპექტაკლს და გადაიღებენ მოკლემეტრაჟიან ფილმს. პროექტის – „ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასის“ მთავარი მიზანია ახალგაზრდების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ჩართულობის გაზრდა კულტურულ პროცესებში, კერძოდ თანამედროვე თეატრისა და კინოს მიმართულებით.</p>
<p>6. „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ფერადი ეზოები ზავშევს“ განხორციელება - ეზო და მისი შემოგარენი დიდ როლს თამაშობს ზავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაში და გავლენას ახდენს მის სამომავლო ქცევასა და ხასიათზე. დღესდღეობით კორპუსის ეზოების დიდი ნაწილი არ არის მორგებული ზავშვის საჭიროებებზე, რაც ხელისშემშლელია იმისთვის, რომ ზავშვებმა ნაყოფიერად და სასარგებლოდ გაატარონ დროის ის ნაწილი, როცა იმყოფებიან ეზოში. მნიშვნელოვანია ეზომ შექმნას განწყობა და დატვირთული იყოს შემოქმედებითად, ამის მაგივრად კი ზავშვებს ხვდებთ ცივი და უფერული ბეტონი. აღნიშნული რეალობიდან გამომდინარე, განხორციელდება იდეა: „ფერადი ეზოები ზავშვებს“, რომლის ფარგლებშიც, ბათუმის კორპუსების შიდა ეზოები მოიხატება შემეცნებით-გასართობი თამაშებისთვის საჭირო ნახატებით, კერძოდ: ნახატი №1 „ფერადი ლაბირინთი“, ნახატი №2 „სარკისებური მოძრაობა ფერადი ბურთები“, ნახატი №3 „მოდრავი ბილიკი“, ნახატი №4 „ქართული ანბანი“, ნახატი №5 „მოგაზურობა ქალაქში“ და ნახატი №6 „საქართველოს რუკა“. აღნიშნული თამაშები ხელს შეუწყობს წონასწორობის, ყურადღების, კონცენტრაციის, სისწრაფის, აღქმისა და ფიზიკურ განვითარებას, აგრეთვე, ქართული ანბანისა და საქართველოს კუთხეების შესწავლას.</p>
<p>7. „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ბათუმის ღია თეატრალური ფესტივალის“ განხორციელება - ბათუმის კულტურული პოტენციალი იმაზე ბევრად მაღალია, რასაც ქალაქი დღეს იყენებს. ამიტომ უმნიშვნელოვანესია ზაფხულობით ქალაქის ქუჩებისა და ღია სივრცეების, ისეთი სანახაობებით დატვირთვა, როგორცაა სპექტაკლები და მცირემასშტაბიანი პერფორმანსები. ფესტივალში დაახლოებით 5 პროფესიულ თეატრს ან შემოქმედებით, დამოუკიდებელ ჯგუფს შეეძლება მონაწილეობა. რაც ცალსახად ხელს შეუწყობს მათი შემოქმედების პოპულარიზაციას და ქალაქში თეატრალური კულტურის განვითარებას. მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის, მათ შორის განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ჯერ კიდევ საკმარისად არ არის ხელმისაწვდომი თეატრალური სანახაობები, ვერ ახერხებენ თეატრში სიარულს ან უბრალოდ ამ კუთხით კულტურის ნაკლებობაა.</p>
<p>სამწუხაროდ კოვიდ-19-ს გამო, აღნიშნული სფერო საერთოდ დაიკეტა და როგორც შემოქმედს, ისე მაყურებელს, აქვს ამ კუთხით სულიერი საზრდოს და პროფესიული საქმიანობის დანაკლისი. პანდემიის პირობებშიც კი შესაძლებელია აღნიშნული პროექტის განხორციელება, იმიტომ რომ ფესტივალი ჩატარდება ღია სივრცეებში რეკომენდაციების სრული დაცვით. ფესტივალის განხორციელების შედეგად, გაიზრდება ბათუმისადმი კულტურით დაინტერესებული ტურისტების ინტერესი, ასევე, ადგილობრივებისთვის თეატრალური კულტურა გახდება უფრო ახლო და საზოგადოებრივი სივრცეები მთელი ზაფხულის განმავლობაში შეიძენს კულტურულ-შემოქმედებითი სივრცის სტატუსს. ახალგაზრდა ხელოვანები კოვიდ - 19 - ის პირობებშიც კი, გააგრძელებენ პროფესიულ საქმიანობას, ბათუმი ადგილობრივ თეატრალურ ჯგუფებთან ერთად, უმასპინძლებს რეგიონულ თეატრებსა და დამოუკიდებელ ხელოვანთა გაერთიანებებს, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი, საინტერესო და ნიჭიერი ხელოვანების აღმოჩენასა და წარმოჩენას.</p>

8. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი (12 აგვისტო) მიმდინარე ღონისძიება - „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე“ გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, 1999 წლიდან აღინიშნება და მისი მიზანია გამოკვეთოს ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი როლი ცვლილებების განხორციელებაში და გაზარდოს ცოდნა იმ პრობლემებისა და გამოწვევებისადმი, რომელთა წინაშე იმყოფებიან ახალგაზრდები. თემატიკა ყოველწლიურად იცვლება, რომელიც ცნობილი ხდება რამოდენიმე თვით ადრე და ის პასუხობს ახალგაზრდობის წინაშე არსებულ გამოწვევათაგან ერთ-ერთს. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი დაკავშირებული ღონისძიებები მოეწყობა ქ. ბათუმშიც, მას შემდეგ რაც, ცნობილი გახდება 2021 წლის „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის“ მთავარი თემა, დაიგეგმება შესაბამისი აქტივობებისა და ღონისძიებების განხორციელება.

საერთო ჯამში, აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით ჩატარებულ ღონისძიებებზე, გაჟღერდება ადგილობრივი ახალგაზრდობის შეხედულებები, ინტერესები, საჭიროებები და დამოკიდებულებები ამა თუ იმ საკითხისადმი. რაც გაზრდის ახალგაზრდობის დანტერესებას იყენებს ცვლილებების მონაწილეები და გააჩნდით ინტერესი და პირობები, იმისთვის რომ შეძლონ მათ წინაშე მდგარი პრობლემების იდენტიფიცირება, გადაწყვეტის გზების ძიება და გადაწყვეტა.

9. წამახალისებელი ღონისძიება „წლის ყველაზე აქტიური მონაწილეები და პროექტები“ -შემაჯამებელი / საანგარიშო ღონისძიება. მერიის ახალგაზრდულ პროგრამებში ჩართული, წლის ყველაზე აქტიური მონაწილეებისა და პროექტების წარმოჩენა - დაჯილდოება, გამორჩეულად აქტიური ახალგაზრდობის მოტივაციის ამაღლების, მათი სტიმულირების, წახალისების მიზნით, რათა სხვა ახალგაზრდობას გაუჩნდეთ ინტერესი ახალგაზრდულ პროგრამებში ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით. მერიის ახალგაზრდულ პროგრამებში აქტიურად ჩართული ახალგაზრდები პერიოდულად - წლის მანძილზე, წახალისდებიან, როგორც საჩუქრებითა და სივლეებით, გასართობი კულტურული და სპორტული დაწესებულებების ვაუჩერებით / ექსკურსიით, ასევე, ღონისძიების ფარგლებში წლის მანძილზე ჩატარებული აქტივობების შეჯამების მიზნით, გათვალისწინებულია შემაჯამებელი, საანგარიშო შეხვედრის მოწყობაც.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ცენტრის მოვლა-პატრონობა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა	ცენტრის შენობა	1	14 930	14 930
ახალგაზრდობის თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	პროექტი	5	3 500	17 500
„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ქუჩის ხელოვნების მოძრაობა ბაფიტი / street art movement BAFFITI“ განხორციელება	პროექტი	1	100 000	100 000
„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასი“ განხორციელება	პროექტი	1	34 000	34 000
„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ფერადი ეზოები ბავშვებს“ განხორციელება	პროექტი	1	10 220	10 220
„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ბათუმის ღია თეატრალური ფესტივალის“ განხორციელება	პროექტი	1	60 250	60 250
სულ ქვეპროგრამა				236 900

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ცენტრის მოვლა-პატრონობა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა	X	X	X	X
ახალგაზრდობის თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	X	X	X	X

„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ქუჩის ხელოვნების მოძრაობა ბაფიტი / street art movement BAFFITI“ განხორციელება	X	X	X	X
„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასი“ განხორციელება	X	X	X	
„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ფერადი ეზოები ზავშვებს“ განხორციელება		X	X	
„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ბათუმის ღია თეატრალური ფესტივალის“ განხორციელება		X	X	

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

ახალგაზრდებისთვის უზრუნველყოფილია არაფორმალური განათლების მიღებისთვის უსაფრთხო და შინაარსობრივად დატვირთული სივრცე;
ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინიციატივებისა და იდეების განხორციელება.

დამატებითი ინფორმაცია

ლონისძიების - „ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 5 პირის დაფინანსების შემდეგ, ქვეპროგრამის ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 5 პირზე მეტის დაფინანსება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	განხორციელებული აქტივობების რაოდენობა (არანაკლებ)	8	200	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	განხორციელებულ აქტივობებსა და ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა (არანაკლებ)	200	3600	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	მოხატული ეზოების რაოდენობა	-	5		ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	„ქუჩის ხელოვნების მოძრაობა ზაფიტის“ ფარგლებში მოხატული კედლების რაოდენობა	-	15	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი

<p>ახალგაზრდებისთვის ს უზრუნველყოფილია არაფორმალური განათლების მიღებისთვის უსაფრთხო და შინაარსობრივად დატვირთული სივრცე; ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინიციატივებისა და იდევების განხორციელება.</p>	<p>„ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასი“ მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა</p>	-	30	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	<p>„ბათუმის ღია თეატრალური ფესტივალის“ ფარგლებში ჩართული შემომქედებითი ჯგუფების რაოდენობა (არანაკლებ)</p>	-	5		ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	<p>მონაწილე ახალგაზრდების კმაყოფილების მაჩვენებელი</p>	-	<p>მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა (საორიენტაციო მაჩვენებელი - 60%-ზე მეტი) თვლის, რომ განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობით შეიძინეს ახალი ცოდნა და უნარები და განვიითარეს არსებული ცოდნა. აგრეთვე, უკეთესობისკენ შეიცვალა მათი დამოკიდებულებები და ღონისძიებებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო მათ განვითარებას</p>	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი

	ჩატარებული ღონისძიებების ხარისხის შეფასება	-	მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა (საორიენტაციო მაჩვენებელი - 60% - ზე მეტი) დადებითად აფასებს ჩატარებული ღონისძიებების ხარისხს	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
--	--	---	--	-----------	---	------------------	---	-------------

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 06 02

ქვეპროგრამის დასახელება:

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	17 960
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	17 960

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდობის ინტელექტუალური და შემეცნებითი განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მოზარდობისა და ახალგაზრდული ასაკი ეს არის გონებრივი შესაძლებლობების განვითარების საუკეთესო პერიოდი. ამ დროს მოზარდები ინტერესს აკლენენ იმ ცოდნის მიმართ, რომელიც ფორმალური განათლების ფარგლებს სცილდება, ახასიათებთ შემოქმედებითობა, ახალი ცოდნის მიღებისა და თვითგანათლების მოთხოვნილება, აბსტრაქტული აზროვნება, იდეალიზებული და წარმოსახვის უნარები, უფროსი სასკოლო ასაკის სასწავლო საქმიანობა გვევლინება შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარების მამოძრავებელ ძალად. არსებითი ძვრები ხდება მათი აზროვნების განვითარების მიმართულებითაც, აზროვნება ღებულობს აქტიურ, დამოუკიდებელ და შემოქმედებით ხასიათს. სააზროვნო ოპერაციები მიმდინარეობს განზოგადების და აბსტრაქციის უფრო მაღალ დონეზე, მიზეზობრივი კავშირების ძიებით, ვითარდება ლოგიკური დასაბუთების უნარი და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა. ინტელექტუალური განვითარება მხოლოდ იმაში კი არ გამოიხატება, რომ გროვდება გარკვეული ცოდნა და იცვლება ინტელექტის ცალკეული მხარეები, არამედ ყალიბდება გონებრივი მოქმედების ინდივიდუალური სტილი.

16 – 17 წლიდან განსაკუთრებული სწრაფი ტემპით ვითარდება ლოგიკური აზროვნების უნარი, რასაც ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ზემოთ მიმოხილული ასაკობრივი განვითარების მახასიათებლები, ცხადყოფს რომ განსაკუთრებით მოზარდობის პერიოდში უნდა არსებობდეს ინტელექტუალური და შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობი პროგრამები, პროექტები, ინტელექტუალური განვითარებისთვის ხელშემწყობი და მასტიმულირებელი ღონისძიებები, რაც მათ დაეხმარებათ აზროვნების განვითარებაში, ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

იმის გათვალისწინებით, რომ მოზარდობის პერიოდში ინტელექტუალურ-შემეცნებითი ღონისძიებების ხელმისაწვდომობის არ არსებობა ან არასაკმარისად არსებობა, ხელს უშლის ადამიანის გონებრივ და ინტელექტუალურ განვითარებას და ამავდროულად, გამოცდილება ცხადყოფს, რომ უფროსი სასკოლო ასაკის, სტუდენტებისა და ახალგაზრდობის განსაკუთრებული ინტერესის წყაროს წარმოადგენს ინტელექტუალურ და შემეცნებით თამაშებსა და აქტივობებში ჩართულობა, ბათუმელი ახალგაზრდობის გონებრივი, შემოქმედებითი და ინტელექტუალური განვითარებისთვის ხელმისაწვდომი იქნება შემდეგი ღონისძიებები:

1. ინტელექტუალური - თამაში „რა? სად? როდის?“ -
 ღონისძიება ითვალისწინებს ქალაქის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას. თამაშები განხორციელდება სამ ეტაპად:
 ა) მოსწავლეთა ლიგის თამაშები;
 ბ) სტუდენტთა ლიგის თამაშები;
 გ) ბათუმის ღია ჩემპიონატის თამაშები;
 თამაშები ჩატარდება „MAK“-ის საერთაშორისო წესების დაცვით, jeopardy-ის ჯგუფური ტურნირი, „პლეი-ოფისა“ და „ბრინ-რინგი“-ს სისტემით. თითოეულ ეტაპზე გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდებიან წიგნებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით.

2. ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ (I ეტაპი) -
 გასვლითი არასატელევიზიო ფორმატის ინტელექტუალურ კონკურს „ეტალონი“ მონაწილეობის მიღება შეუძლია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ნებისმიერი საჯარო სკოლის VIII, IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეს. მონაწილეს შეუძლია თითოეულ დასმულ კითხვაზე, ოთხი სავარაუდო პასუხიდან, 15 წამის განმავლობაში გასცეს სწორი პასუხი. პროექტის განხორციელების შედეგად გამოვლინდება „ქალაქ ბათუმის ეტალონი მოსწავლე“. ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდება პროექტის ორგანიზების ხარჯები.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“	ტური	1	15000	15000
ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“	ეტაპი	1	2960	2960
სულ ქვეპროგრამა				17 960

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“	X	X	X	X
ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“		X		

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალურ და შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალურ და შემეცნებით	მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილი ინტელექტუალურ - შემეცნებითი პროექტების რაოდენობა	1	2	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	ქვეპროგრამის განხორციელების პროცესში ჩატარებული შეხვედრებისა და აქტივობების რაოდენობა (არანაკლებ)	4	20	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	ინტელექტუალურ - შემეცნებით პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა (არანაკლებ)	800	700	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი

აღოქექეიი მონაწილეობა	პროექტებში მონაწილე ახალგაზრდების კმაყოფილების მაჩვენებელი	-	მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა (საორიენტაციო მაჩვენებელი - 60 % ზე) მიიჩნევს, რომ პროექტები მორგებული იყო მათ საჭიროებებსა და ინტერესებს	%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	პროექტებში მონაწილე ახალგაზრდების მიერ ჩატარებული პროექტების ხარისხის შეფასება	-	მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა (საორიენტაციო მაჩვენებელი - 60 % - ზე მეტი) დადებითად აფასებს ჩატარებული ღონისძიებების ხარისხს	%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი